



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №20/63

2017 წლის 25 აგვისტო  
ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალება OPEL VECTRA (სარეგისტრაციო ნომერი GMB 391, გამოშვების წელი - 1994) და MITSUBISHI CANTER (სარეგისტრაციო ნომერი MCM 064, გამოშვების წელი - 1999), ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ქალაქი ფოთი, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე 63.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.15.372) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკუთრებას, ასევე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკუთრებას წარმოადგენს ჯართი (ჩამოწერილი 2 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (მერის მოვალეობის შემსრულებელი) „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ: ზემოთხსენებული ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმაში დამატებასთან დაკავშირებით.

ასევე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან ამოღებულ უნდა იქნეს ქალაქი ფოთი, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე 4036.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.524).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

### აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში და განკარგულების დანართი №1 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა) და დანართი №2 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 25 აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი,  
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია